სს "თიბისი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი
JSC "TBC Bank", Marjanishvili Branch

412/102-01

**საბანკო გარანტია N 2645672-12577711**

ქალაქი თბილისი

25 მაისი 2023 წელი

**გარანტი:** სს თიბისი ბანკი (ს/ნ 204854595)
**გარანტის მისამართი:** კ. მარჯანიშვილის ქ. #7, თბილისი 0102, საქართველო
**პრინციპალი:** შპს კონსიერჟ თბილისი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405055871
**ბენეფიციარი:** სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 202238621
**საგარანტიო თანხა:** 2 245.23 (ორი ათას ორას ორმოცდახუთი და 23/100) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის 2023 წლის 24 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების #2023/10/121 (რომელიც ითვალისწინებს 2023 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების და გამართვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას (შემდგომში „ხელშეკრულება")) შესაბამისად, პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის წარდგენა, სს თიბისი ბანკი თანახმაა გასცეს პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია."

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე საერთო თანხაზე **2245.23 (ორი ათას ორას ორმოცდახუთი და 23/100) ლარის** და **გამოუთხოვადად და უპირობოდ** (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და დოკუმენტალურად დადასტურების ვალდებულების გარეშე) ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას, პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული იქნება კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან.

გარანტია ძალაში რჩება **2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით** (შემდგომში „მოქმედების ვადა").
აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობით უარის თქმით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის სერვის მენეჯერი

მარინა კვაშილავა

JSC TBC BANK MARJANISHVILI BRANCH
თიბისი ბანკი TBC BANK
კანცელარია CHANCELLERY
011160

დავით აღმაშენებელი გამზ. 61
0102 თბილისი, საქართველო
61 David Agmashenebeli Ave,
0102 Tbilisi, Georgia
ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74
www.tbcbank.ge